ხაშურის მოამბე

№37(410) 2 ოქტომბერი, ორშაბათი, 2023 წელი

აფხაზეთი საქართველოა

ჩვენ დავიბრუნებთ ერთმანეთს

სოხუმის დაცემისა და ომში ტრაგიკულად დაღუპული გმირების ხსოვნის პატივის მიგების მიზნით, ხაშურის მუნიციპალიტეტის მერმა თენგიზ ჩიტიაშვილმა, მერის თანაშემწემ -მერაბ ბარბაქაძემ, მერიის კულტურის სამსახურის უფროსმა კონსტანტინე ფრუიძემ, მერიის სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის ხელმძღვანელმა მიხეილ ბარბაქაძემ და მუნიციპალიტეტის სხვა წარმომადგენლებმა, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის გამართულ ბრძოლებში დაღუპულ გმირთა მემორიალი და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დაცვისთვის დაღუპული მებრძოლების ხეივანი გვირგვინებით შეამკეს.

ღონისძიებას შეუერთდა, აფხაზეთის ომის დროს დაღუპული, შაკო მარკოზაშვილის მამა.

მთავრობის განკარგულებით, იმ დღეს, საქართველოს მთელს ტერიტორიაზე, მათ შორის ხაშურში, სახელმწიფო და მუნიციპალური დროშები დაშვებული იყო.

აფხაზეთის ომი 1992 წლის 14 აგვისტოს დაიწყო და 13 თვეს და 13 დღეს გაგრძელდა. შეიარაღებულ დაპირისპირებას ემსხვერპლა 30 ათასამდე ადამიანი აფხაზეთი საქართველოა.

ხაშურის მუნიციპალიტეტში, საგზაო ინფრასტრუქტურის მიმართულებით, მასშტაბური პროექტები ხორციელდება

სურამის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ბიჯნისში და ფლევის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ნაცარგორაში გზების მოწყობა მიმდინარეობს.



“სოფელ ბიჯნისში სოფლამდე მისასვლელი გზის მშენებლობა მიმდინარეობს. პროექტის ფარგლებში, ეწყობა საავტომობილო გზა, სანიაღვრე არხები და გათვალისწინებულია საგზაო ნიშნების დახაზვა-დამონტაჟება. რეაბილიტირებული ინფრასტრუქტურით 600-ზე მეტი ადგილობრივი და ვიზიტორი ისარგებლებს. ადგილობრივი მოსახლეობის თხოვნით, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში, სოფელ ბიჯნისში წყაროც გაკეთდება. ასევე, აქტიურად მიმდინარეობს ნაცარგორაში გზის მოწყობის სამუშაოები. პროექტის ფარგლებში გათვალისწინებულია ასფალტის საფარის დაგება, სანიაღვრეების მშენებლობა და საგზაო ნიშნების დახაზვა-დამონტაჟება.

პროექტის განხორციელების შედეგად, რეაბილიტირებული გზით 500-ზე მეტი ადგილობრივი დავიზიტორი ისარგებლებს, რაც მათ საყოფაცხოვრებო პირობებს მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს “- აღნიშნა ხაშურის მუნიციპალიტეტის მერმა თენგიზ ჩიტიაშვილმა.

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილის ზვიად ქურდაძის განმარტებით, ბიჯნისის გზის რეაბილიტაცია ადგილობრივი ბიუჯეტის მხარდაჭერით ხორციელდება და სამუშაოების ღირებულება 1610 836 ლარია, ხოლო ნაცარგორაში მიმდინარე ინფრასტრუქტურული სამუშაოები, სახელმწიფოსა და ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით ხორციელდება და ღირებულება 1 595 594 ლარს შეადგენს.

სოფელ ვაყაში, მდინარე ჭერათხევის მონაკვეთზე, დაზიანებული ნაპირსამაგრი კედლების მშენებლობა-რეაბილიტაცია მიმდინარეობს

„აღნიშნული მონაკვეთი მეწყერსაშიშ ზონას წარმოადგენს, ამიტომ სამუშაოების ჩატარება მნიშვნელოვანია მოსახლეობის უსაფრთხოებისა და მოსალოდნელი სტიქიის პრევენციის მიზნით, სამუშაოები კომპლექსურია და ბევრ ნიუანსს ითვალისწინებს, რაც მშენებელი კომპანიის მხრიდან ზედმიწევნით იქნება გათვალისწინებული“ -აღნიშნა ხაშურის მუნიციპალიტეტის მერმა თენგიზ ჩიტიაშვილმა.

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილის, ზვიად ქურდაძის განმარტებით, სოფელ ვაყაში, ნაპირსამაგრი კედლების მშენებლობა-რეაბილიტაციის პროექტს, მთლიანად ადგილობრივი ბიუჯეტი აფინანსებს და მისი ღირებულება 411 746 ლარს შეადგენს.

“დოლის პური” – როგორ დაიწყო ხაშურელმა ქალმა პურის უძველესი რეცეპტით ცხობა

64 წლის ნანა ლომსაძე, ხაშურში, უძველესი ტრადიციით და რეცეპტით დამზადებულ დოლის პურს ყიდის. საწყის ეტაპზე, მისი მიზანი ბიზნესის წამოწყება არ ყოფილა და პურის ცხობას მხოლოდ ოჯახისთვის ფიქრობდა.

საქმის მიმართ ისეთი ინტერესი გაჩნდა, ნანამ გადაწვიტა ცხობის

ტექნიკას პროფესიულად დაუფლებოდა და ამისთვის სპეციალური კურსიც გაიარა. ის “აწარმოე საქართველოს” კონკურსის გამაჯვებულიც გახდა, რომლის დახმარებითაც საცხობი მოაწყო და მას შემდეგ, პურს არამხოლოდ ოჯახისთვის, არამედ სარეალიზაციოდაც აცხობს.

“ჩემი დღე იწყება დილის შვიდ საათზე საოჯახო საქმით და გრძელდება პურის საცხობში. რამდენიმე წლის უკან, ჩემთვის ცნობილი გახდა, რომ ჩვენს რაიონში მოქმედ ფერმერს მოჰყავდა ძველი ქართული ჯიშის სხვადასხვა სახეობის ხორბალი, იქვე იფქვებოდა ცეხვილი ფქვილი და ხდებოდა მისი რეალიზაცია. ამ ფქვილების შეძენის შემდეგ, დავიწყე ოჯახის

წევრებისთვის პურის გამოცხობა და ისე მოვიხიბლეთ მისი გემოვნური თვისებებით, რომ გადავწყვიტე, პროფესიულ დონეზე შემესწავლა ეს საქმე. “აწარმოე საქართველოს” კონკურსის დახმარებით კი, ჩემი ინტერესის, არტიზანული მეთოდით პურის ცხობის პრაქტიკაში განხორციელების საშუალება მომეცა”, – გვიყვება ნანა.

ნანა ამბობს, რომ ცხობის პროცესი ხანგრძლივი, რთული და შრომატევადია.

“თითქმის 48 საათიანი პროცესია. საფუარის ფერმენტაციას უნდა 12 საათი, მისი მომზადება ხდება მაჭრის და სიმინდის ფქვილისგან , რომელიც წინა დღეს იწყება, შემდეგ ხდება ცომის მოზელა, 2-3-ჯერ გადაზელა, შემდეგ ფორმირება და გვიან უკვე ცხობა. დოლის პურის მარცვლისგან მიღებულ ფქვილს ახასიათებს ცხობის მაღალი უნარიანობა. ცომი ზელაში კარგად ფუვდება, მატულობს, ცხვება გემრიელი, სურნელოვანი პური, რაც განასხვავებს მას ჩვეულებრივი პურისგან. წითელი დოლის პური ქიმიური საფუარის გარეშე, ბიოლოგიურად სუფთა და, შესაბამისად, მაღალი საკვები ღირებულებით გამორჩეული პროდუქტია”, – აღნიშნავს ნანა.

ნანას მთავარი მიზანი ძველი ქართული ჯიშებისა და მისგან ბუნებრივ საფუარზე დამზადებული პროდუქტის პოპულარიზაციაა. მისი სურვილია, რომ ქართული ხორბლის ენდემურმა ჯიშებმა თავისი კუთვნილი ადგილი დაიკავონ კვების სფეროში.

“ჯერჯერობით საცხობი საცდელ რეჟიმში მუშაობს და მცირე რაოდენობის პროდუქციას ვაწარმოებ, რომლის ცხობასაც მარტო ვახერხებ. პურის რეალიზაცია ხდება ქალაქის ცენტრში მდებარე ერთ სავაჭრო ობიექტში, მიმდინარეობს მოლაპარაკება ქსელურ მაღაზიებთან. ამ ეტაპზე, ჩემს საცხობში წარმოებული პური არ არის დიეტური, თუმცა, სამომავლოდ, იგეგმება დიეტური პურის წარმოება შესაბამისი ტექნოლოგიის გამოყენებით”, – ამბობს ნანა.

ნანამ თანამოაზრეებთან ერთად ხაშურში მეწარმე ქალთა გაერთიანება დააფუძნა. ამბობს, რომ ორგანიზაციის მიზანი სოციალურ-ეკონომიკურ ცხოვრებაში ქალების ჩართულობაა.

“საქმიანობის დაწყების შემდეგ შეხვედრები მომიწია მუნიციპალიტეტში სხვადასხვა სფეროში მოქმედ მეწარმე ქალებთან. გამოიკვეთა საერთო ინტერესები და მიმდინარე წლის აპრილის თვეში დავაფუძნეთ ა(ა)იპ “ხაშურის მეწარმე ქალთა გაერთიანება“, ორგანიზაცია გეგმავს ქალთა მონაწილეობის გააქტიურებას მუნიციპალიტეტის სოციალურ-ეკონომიკურ ცხოვრებაში, მათ ინფორმირებულობას და დაინტერესებას სხვადასხვა საკითხებით”.

ანა ჯიოშვილი

ხაშურში საქალაქო კულტურის სახლის (ყოფილი რკინიგზის კლუბის) რეაბილიტაცია აქტიურად მიმდინარეობს

პროექტით, შენობის სრული რეკონსტრუქციაა გათვალისწინებული. ამ ეტაპზე მიმდინარეობს, როგორც დარბაზის, ასევე, კულისებისა და ადმინისტრაციული ოთახების მოწყობა, იცვლება შენობის სახურავი.

პროექტის ფარგლებში, დარბაზში დამონტაჟდება თანამედროვე ტიპის გახმოვანების და განათების სისტემები, შესაბამისი აკუსტიკით. შენობაში მოწესრიგდება წყლის და კანალიზაციის სისტემები, იქნება გათბობა, გამოიცვლება სახურავი. შენობა ადაპტირდება შშმ პირებზე და ექნება სათადარიგო გასასვლელი.

პროექტი გარდამავალია, სამუშაოების ღირებულება 1714744 ლარს ითვალისწინებს და ადგილობრივი ბიუჯეტიდან ფინანსდება.

კულტურის სახლი ათწლეულების განმავლობაში არ გარემონტებულა, შემდგომ, იყო გარკვეული შეფერხებები, რამაც შენობის რეაბილიტაციის პროცესები შეაჩერა.

მიმდინარე პროექტის დასრულების შემდეგ კი, ხაშურის მუნიციპალიტეტი, კულტურულ ცხოვრებას მეტი შემართებით გააგრძელებს.

ულუმბო

ფრაგმენტები სოფლის ისტორიიდან

(გაგრძელება. დასაწყისი №18,19,20,21,22,23,24,25,26,27,28,29,30,31,32,33,34, 3536)

* * *

28 ივლისს, ტიტვინიძის წყაროში მცხოვრებმა სპირიდონ ფარსადანის ძე წიქარიშვილმა(23) იქორწინა სოფ. ბროლოსანში მცხოვრებ პეტრე მუმლაძის ასულ მართაზე(16). სიძის თავმდებნი სოფ. ტიტვინიძის წყაროში მცხოვრებნი მაქსიმე ნიკოლოზის ძე ჟოლიძე(?), გარსევან გიორგის ძე გორგაძე და პავლე დიმიტრის ძე წიქარიშვილი. სასძლოს თავმდებნი სოფ. ბროლოსანში მცხოვრები გიორგი ფარსადანის ძე სადუნიძე, სოფ. ულუმბოში მცხოვრებნი იორამ გიორგის ძე კიპაროიძე და ეგნატე ბასილის ძე გელაშვილი

* * *

25 ნოემბერს, სოფ. კლდისწყაროში, გარდაიცვალა გიორგი სულაბერიძის ძე დიონოსე, 5 წლის, ყვავილისაგან

1880

19 თებერვალს, სოფ. ჩორჩანაში მცხოვრებ გიორგი ფრანგოს ძე არბოლიძეს და უკანონო ცოლს მაგდანა სვიმონის ასულს შეეძინათ ქალიშვილი ოლღა. 25 თებერვალს მონათლეს. მიმრქმელი, სოფ. ალში მხცოვრები სვიმონ სარქისის ძე ყულიჯანოვი

10 მარტს, სოფ. ჩორჩანის ბოლოში მცხოვრებ სვიმონ გედევანის ძე არბოლიშვილს და ნინო ბადას ასულს შეეძინათ ქალიშვილი მარიამი. 20 მარტს მონათლეს. მიმრქმელი, იქვე მცხოვრები ქიტა პეტრეს ძე არბოლიშვილი.

8 აპრილს, სოფ. მურყნის წყაროში მცხოვრებ დავით აბრამის ძე კაპანაძეს და მარიამ გიორგის ასულს შეეძინათ ქალიშვილი ელისაბედი. 21 აპრილს მონათლეს. მიმრქმელი, იქვე მცხოვრები გიგო კაპანაძის ცოლი სუსანა თევდორეს ასული.

17 აპრილს, სოფ. ულუმბოში მცხოვრებ სიმონ ვასლის ძე გელაშვილს და თეკლე ნიკოლოზის ასულს შეეძინათ ქალიშვილი სოფიო. 27 აპრილს მონათლეს. მიმრქმელი, იქვე მცხოვრები ალექსი საყვარელას ძე ხარაზიშვილი.

23 აპრილს, სოფ. ნინისში მცხოვრებ თევდორე სტეფანეს ძე ..... (გვარი არ არის მითითებული - თ.ლ.) და ანტიფონა როსტომის ასულს შეეძინათ ვაჟიშვილი იოსები. 30 აპრილს მონათლეს. მიმრქმელი, სოფ. ცხეთიჯვარში მცხოვრები ასლან გიორგის ძე ხარაზიშვილი.

4 მაისს, სოფ. ლომისაში მცხოვრებ თეიმურაზ იასეს ძე გაფრინდაშვილს და პელაგია საჩინოს ასულს შეეძინათ ქალიშვილი დარია.13 მაისს მონათლეს. მიმრქმელები, სოფ. ალში მცხოვრებნი იგორ არუთენას ძე სუხიაშვილი და შამილა სვიმონის ძე ბედუაშვილი.

9 მაისს, სოფ. ულუმბოში მცხოვრებ გიორგი ოქროას ძე ნაზარაშვილს და ანა სოლომონის ასულს შეეძინათ ვაჟიშვილი ილია. 18 მაისს მონათლეს. მიმრქმელი, სოფ. ალში მცხოვრები სოლომონ ზაქროს ძე ნოზაძე.

15 მაისს, სოფ. ბროლოსანში მცხოვრებ ფარსადან გრიგოლის ძე მუმლაძეს და სალომე ბუჭუას ასულს შეეძინათ ვაჟიშვილი მალაქია. 23 მაისს მონათლეს. მიმრქმელი, სოფ. ჩორჩანაში მცხოვრები პავლე იოსების ძე მუმლაძე.

13 მაისს, სოფ. ბროლოსანში მცხოვრებ აღდგომელა თევდორეს ძე მუმლაძეს და მარიამ მერაბის ასულს შეეძინათ ვაჟიშვილი სერგო. 24 მაისს მონათლეს. მიმრქმელი, აქვე მცხოვრები ივანე ვასილის ძე გზირიშვილი.

14 მაისს, სოფ. კლდისწყაროში მცხოვრებ გრიგოლ ივანეს ძე ბარბაქაძეს და ანა ივანეს ასულს შეეძინათ ვაჟიშვილი ვლადიმერი. 27 მაისს მონათლეს. მიმრქმელი, სოფ. ღუდაში მცხოვრები გიორგი პაატას ძე ბარბაქაძე.

8 ივნისს, სოფ. მურყნისწყაროში მცხოვრებ ნიკოლოზ ტარიელის ძე გელაშვილს და ანუსია გუგუნას ასულს შეეძინათ ქალიშვილი დარია. 15 ივნისს მონათლეს. მიმრქმელი, იქვე მცხოვრები დავით ბერის ძე კაპანაძე.

12 ივნისს სოფ. კლდისწყაროში მცხოვრებ ტატო დავითის ძე გელაშვილს და ქეთევან ლომკაცას ასულს შეეძინათ ვაჟიშვილი ბესარიონი. 21 ივნისს მონათლეს. მიმრქმელი, შორაპნის მაზრის სოფ. ბერეთისაში მცხოვრები ნიკოლოზ გიორგის ძე ტაბატაძე.

19 ივნისს, სოფ. მურყნისწყაროში მცხოვრებ თევდორე სვიმონის ძე კაპანაძეს და სულბულ სპირიას ასულს შეეძინათ ვაჟიშვილი ალექსი. 28 ივნისს მონათლეს. მიმრქმელი, სოფ. ჩორჩანაში მცხოვრები ნიკოლოზ გიორგის ძე ტაბატაძე.

1 აგვისტოს, სოფ. ნინისში მცხოვრებ ვასილ ივანეს ძე სტეფნაძეს და ეფემია ივანეს ასულს შეეძინათ ქალიშვილი ოლღა. 16 აგვისტოს მონათლეს. მიმრქმელი- სოფ. ახალუბანში მცხოვრები იოსებ გიორგის ძე ნოზაძე.

22 აგვისტოს, სოფ. ტიტვინიძის წყაროში მცხოვრებ ალექსი იორდანეს ძე მუმლაძეს და რუსუდან პეტრეს ასულს შეეძინათ ვაჟიშვილი დავითი. 29 აგვისტოს მონათლეს. მიმრქმელი, იქვე მცხოვრები იორდანე მუმლაძის ასული მარინე.

10 სექტემბერს, სოფ. წყვდელისში მცხოვრებ მალხაზ ფარნამოს ძე არბოლიშვლს და ქეთევან ქერმენას ასულს შეეძინათ ვაჟიშვილი რაჟდენი. 18 სექტემბერს მონათლეს. მიმრქმელი, ულუმბოს ღთისმშობლის ეკლესიის მღვდელი ალექსი დიმიტრის ძე კევლიევი.

31 მაისს, ,,ოსტავნოი უნტერ-ოფიცერს“ მარტინ მოსეს ძე ტიმოთვიევს და მის სჯულიერ ცოლს სოფიო დიმიტრის ასულს შეეძინათ ვაჟიშვილი ვასილი. 19 სექტემბერს მონათლეს. მიმრქმელი, სოფ. ალში მცხოვრები აზნაურის ესტატე ჩარექოვის ცოლი ეკატერინა სოფრომის ასული.

9 ოქტომბერს, სოფ. კლდისწყაროში მცხოვრებ ნიკოლოზ ივანეს ძე გელაშვილს და თებრონია დავითის ასულს შეეძინათ ვაჟიშვილი მაკარიოზი. 17 ოქტომბერს მონათლეს. მიმრქმელი, შორაპნის მაზრის სოფ. გეზრულში მცხოვრები ალექსი გელაშვილის ასული სოფიო.

2 ნოემბერს, სოფ. ბროლოსანში მცხოვრებ გიორგი გრიგოლის ძე მუმლაძეს და ანა პაატას ასულს შეეძინათ ვაჟიშვილი გედეონი. 10 ნოემბერს მონათლეს. მიმრქმელი, სოფ. ტიტვინიძის წყაროში მცხოვრები ნიკოლოზ გიორგის ძე მუმლაძე.

14 ნოემბერს გორის მაზრის სოფ. გვირგვინაში მცხოვრებ თომა ..... ძე (მამის სახელს ვერ ვკითხულობთ - თ.ლ.) ყულუმბეგაშვილს და .... (სახელი მითითებული არ არის - თ.ლ.) შეეძინათ ვაჟიშვილი გიორგი. 23 ნოერმბერს მონათლეს. მიმრქმელი, იქვე მცხოვრები მინას ..... (გვარი მითითებული არ არის თ.ლ.) ასული ქეთევანი.

* * *

11 ნოემბერს, ქალაქ გორში მცხოვრებმა ,,სახელმწიფო ტელეღრამის მეოთხე რაზრიადის ტელეღრაფისტმა“ ნიკოლოზ სოლომან მღვდლის ძე ხარატოვმა (22) იქორწინა ულუმბოს ღვთისმშობლის მიძინების ეკლესიის მღვდლის ალექსი დიმიტრის ძე კევლიევის ასულ ოლღაზე (16). სიძის თავმდებნი - ქარელში მცხოვრები თავადი არჩილ დავითის ძე ციციშვილი, ქვიშხეთში მცხოვრები აზნაური პეტრე მიხეილის ძე ციმაკურიძე და ალში მცხოვრები გლეხი ივანე ყულის ძე ყულუჯანოვი. სასძლოს თავმდებნი - თბილისში მცხოვრები ბაგრატ მირონის ძე მელიქოვი, ყინწვისში მცხოვრები თავადი ივანე გიორგის ძე ციციანოვი, სოფ ალში მცხოვრები იორდანე აბაზაშვილი.

11 ნოემბერს, შორაპნის მაზრის სოფ. წმანისში მცხოვრებმა თადეოზ მაქსიმე მღუდლის ძე ლომიძემ (30) იქორწინა ხაშურში მცხოვრებ თევდორე ბოლოკაძის ასულ სალომეზე (19). სიძის თავმდებნი - სოფ. ფლევში მცხოვრებნი კონსტანტინე შიოს ძე ლომიძე, სარდიონ გიორგის ძე ლომიძე, დავით გიორგის ძე ქველაძე. სასძლოს თავმდებნი - სოფ. ოსიაურში დროებით მცხოვრები ექვთიმე სვიმონის ძე ლომიძე, ხაშურში მცხოვრები სოლომონ პეტრეს ძე თამაზოვი, სოფ. ფლევში მცხოვრები ილიკო გიორგის ძე ლომიძე

* * *

20 იანვარს, სოფ. ლომისაში გარდაიცვალა ყარამან გაფრინდაშვილის ცოლი მართა ივანეს ასული, 30 წლის, ანთებისგან

28 იანვარს, სოფ. ბროლოსანში გარდაიცვალა ვარლამ ივანეს ძე გზირიშვილი, 50 წლის, საოფლისაგან.

1881

19 თებერვალს, სოფ. კლდისწყაროში მცხოვრებ ნიკოლოზ ბუჭუას ძე ხარაზიშვილს და სიდონია ივანეს ასულს შეეძინათ ქალიშვილი მარიამი. 25 თებერვალს მონათლეს. მიმრქმელი, იქვე მცხოვრები პავლე ივანეს ძე ხარაზიშვილი.

11 მარტს, სოფ. ბროლოსანში მცხოვრებ ლევან ანდრიას ძე მუმლაძეს და როდამ სოფრონის ასულს შეეძინათ ქალიშვილი ნინა. 20 მარტს მონათლეს. მიმრქმელი - იქვე მცხოვრები ანდრია მუმლაძის მეუღლე ბარბალე კაციას ასული.

8 აპრილს, სოფ. ბროლოსანში მცხოვრებ მიხეილ ივანეს ძე ბარბაქაძეს და ირინე ფარსადანის ასულს შეეძინათ ქალიშვილი აღათია. 21 აპრილს მონათლეს. მიმრქმელი, შორაპნის მაზრის სოფ. მეჩხეთაურის წმ. გიორგის ეკლესიის მედავითნე ივანე იოსების ძე ნოზაძე

17 აპრილს, სოფ. ბროლოსანში მცხოვრებ ანტონ გრიგოლის ძე კურტანიძეს და მაგდანა გაბრიელის ასულს შეეძინათ ვაჟიშვილი აქვსენტი. 27 აპილს მონათლეს. მიმრქმელი, იქვე მცხოვრები დავით გიორგის ძე გაგნიძე

23 აპრილს, სოფ. ულუმბოში მცხოვრებ ადამ იასეს ძე გაფრინდაშვილს და მელანია სიმონის ასულს შეეძინათ ვაჟიშვილი მაკარიოზი. 30 აპრილს მონათლეს. მიმრქმელები, სოფ. ალში მცხოვრები გრიგოლ ზაქარიას ძე გიგუოვი და სოფ. კლდისწყაროში მცხოვრები ალექსი გიორგის ძე გონგლაძე

4 მაისს, სოფ. მურყნისწყაროში მცხოვრებ გრიგოლ ივანეს ძე კაპანაძეს და სუსანა გიორგის ასულს შეეძინათ ქალიშვილი ევგენია. 13 მაისს მონათლეს. მიმრქმელი, სოფ. ბროლოსანში მცხოვრები დავით გიორგის ძე გაგნიძე.

9 მაისს, სოფ. ცხეთიჯვარში მცხოვრებ ლაზრო პეტრეს ძე გელაშვილს და ტასია პეტრეს ასულს შეეძინათ ქალიშვილი ოლგა. 18 მაისს მონათლეს. მიმრქმელი, იქვე მცხოვრები გიორგი ოქრუას ძე ხარაზიშვილი

15 ივნისს, სოფ. კლდისწყაროში მცხოვრებ უფლისა ნასყიდას ძე სულაბერიძეს და ეფემია კაციას ასულს შეეძინათ ქალიშვილი ნინა. 23 ივნისს მონათლეს. მიმრქმელი, სოფ. ლომისაში მცხოვრები გიორგი თამაზის ძე გაფრინდაშვილი.

13 ივლისს, სოფ. ულუმბოში მცხოვრებ დიმიტრი გიორგის ძე კიპაროიძეს და ეფემია გრიგოლის ასულს შეეძინათ ვაჟიშვილი იოსები. 24 ივლისს მონათლეს. მიმრქმელი, იქვე მცხოვრები ხარიტონ ვასილის ძე გელაშვილი.

14 ივლისს, სოფ. ბროლოსანში მცხოვრებ გიორგი გლახუას ძე მუმლაძეს და თებრონია თომას ასულს შეეძინათ ვაჟიშვილი დავითი. 27 ივლისს მონათლეს. მიმრქმელი, სოფ. ალში მცხოვრები მალაქია ლევანის ძე ლომიძე.

6 აგვისტოს, სოფ. ცხეთიჯვარში მცხოვრებ ივანე პეტრეს ძე გელაშვილს და ნატალია ვასილის ასულს შეეძინათ ქალიშვლი თებრონია. 8 აგვისტოს მონათლეს. მიმრქმელი, სოფ. ფლევში მცხოვრები სოლომონ გრიგოლის ძე გელაშვილი.

12 აგვისტოს, სოფ. ნინისში მცხოვრებ დარისპან ივანეს ძე სტეფნაძეს და მაია პავლეს ასულს შეეძინათ ვაჟიშვილი ექვთიმე. 21 აგვისტოს მონათლეს. მიმრქმელი, გორის მაზრის სოფ. ღოდორაში მცხოვრებნი ზაქარია იოსების ძე ნოზაძე და ზურაბ გიორგის ძე ხარაზიშვილი.

19 აგვისტოს, სოფ. მურყნისწყაროში მცხოვრებ ონოფრე თომას ძე კაპანაძეს და მაია ივანეს ასულს შეეძინათ ქალიშვილი ევა. 28 აგვისტოს მონათლეს. მიმრქმელები, სოფ. ტიტვინიძის წყაროში მცხოვრებნი გიორგი ნიკოლოზის ძე და გრიგოლ გიგოლას ძე მუმლაძეები.

10 სექტემბერს, სოფ. კლდისწყაროში მცხოვრებ გიორგი ნაყიდას ძე სულაბერიძესა და სოფიო სოლომონის ასულს შეეძინათ ქალიშვილი ანა. 18 სექტემბერს მონათლეს. მიმრქმელი , სოფ. წაღვლში მცხოვრები სოლომონ ივანეს ძე კაპანაძე.

22 სექტემბერს, სოფ. დოდოთში მცხოვრებ გლეხის ივანე ჯიჯუაშვილის ასულს მაღდანას დაებადა უკანონოდ ვაჟიშვილი კონსტანტინე. 29 სექტემბერს მონათლეს. მიმრქმელი სოფ. სარაბუკში მცხოვრები ივანე ალექსის ძე არბოლიშვილი (ვაჟიშვილის მამა არის გიორგი ფირანის ძე არბოლიშვილი - თ.ლ.)

9 ოქტომბერს სოფ. კლდისწყაროში მცხოვრებ ფარსადან ივანეს ძე შუკაკიძეს და ევა ნიკოლოზის ასულს შეეძინათ ვაჟიშვილი ალექსი. 17 ოქტომბერს მონათლეს. მიმრქმელი, სოფ. ნინისში მცხოვრები ვასილ ივანეს ძე სტეფნაძე.

22 ოქტომბერს, სოფ. კლდისწყაროში მცხოვრებ გიორგი დავითის ძე მუმლაძეს და ხათუნა მახარეს ასულს შეეძინათ ქალიშვილი დარია. 29 ოქტომბერს მონათლეს. მიმრქმელი, სოფ. ალში მცხოვრები აღალო ივანეს ძე ყულიჯანოვი.

2 ნოემბერს, სოფ. ბროლოსანში მცხოვრებ გარსევან ივანეს ძე ჩინჩალაძეს და მართა ექვთიმეს ასულს შეეძინათ ვაჟიშვილი დომენტი. 10 ნოემბერს მონათლეს. მიმრქმელი, სოფ. ახალუბანში მცხოვრები სიმონ ფარსადანის ძე ნოზაძე.

17 ნოემბერს, სოფ. ლომისაში მცხოვრებ ნიკოლოზ იოსების ძე სტეფნაძეს და სალომე გრიგოლის ასულს შეეძინათ ქალიშვილი მარიამი. 27 ნოემბერს მონათლეს. მიმრქმელი, სოფ. ჩორჩანაში მცხოვრები მერაბა მუმლაძის მეუღლე ანა ლაზარეს ასული.

5 დეკემბერს, სოფ. ბროლოსანში მცხოვრებ პავლე შაქარას ძე მუმლაძეს და მაია გიორგის ასულს შეეძინათ ქალიშვილი პელაგია. 13 დეკემბერს მონათლეს. მიმრქმელი, იქვე მცხოვრები იოსებ მუმლაძის ასული ვარდო.

თამაზ ლაცაბიძე

(გაგრძელება იქნება)

- ფრთები, ფრთები მინდა, კიდევ ფრთები მინდა... -

თამარ ახალკაცი - ხაშურელი წარმატებული სტუდენტი, რომელიც ამერიკის უნივერსიტეტში გაიღრმავებს ცოდნას და რომელიც კოსმონავტობაზე ოცნებობს

მიზანდასახული, მებრძოლი, აქტიური, მოუსვენარი, მრავალფეროვანი ინტერესებითა და გეგმებით დატვირთული - თამარ ახალკაცი. ახალგაზრდა ხაშურელი წარმატებული გოგონა, რომელიც, გაზაფხულის სემესტრიდან, ამერიკის შეერთებულ შტატებში გააგრძელებს უმაღლესი განათლების მიღებას. თაკო, როგორც მას ახლობლები და მეგობრები მიმართავენ, სამი წლის განმავლობაში მონაწილეობდა „ფლექსის“ კონკურსში, არ დანებდა და პროგრამის ერთ-ერთი მონაწილე გახდა.

თავისუფალი უნივერსიტეტის მესამე კურსის სამართლის ფაკულტეტის სტუდენტი თამარ ახალკაცი:

მხოლოდ მესამე წელს გამიმართლა, ეს ჩემი ბოლო შანსი იყო, ასაკობრივი კატეგორიის გამო, გავიმარჯვე და, სხვათაშორის, პირველი ვიყავი საქართველოში „ფლექსის“ კონკურსანტებიდან, ვისაც დაურეკეს. ეს იყო უდიდესი ბედნიერება, არც დავიჯერე... ყველაზე მეტად დედას არ ეჯერა...

რთული წარმოსადგენია პატარა ქალაქიდან, უცბად, აღმოჩნდე ამერიკაში, ერთი წლის განმავლობაში სასწავლო პროგრამით, სრული დაფინანსებით.

- თაკო, როგორ ფიქრობ, რა უნარებმა განაპირობა მესამე ჯერზე შენი ფინალისტობა პროგრამაში?

ენის ბარიერის გათვალისწინებით, ხშირად ბავშვები კრიტიკულად არიან განწყობილი საკუთარი თავისადმი და ფიქრობენ, არ ღირს ძალების მოსინჯვა. თუმცა, მინდა ისინი დავამშვიდო და ვუთხრა, რომ როდესაც კონკურში გავიმარჯვე, ჩემი ინგლისურის დონე იყო დაახლოებით B1. რა თქმა უნდა, ენა გაძლევს ბონუსს თვითდაჯერებულობისათვის, თუმცა პროგრამისათვის გადამწყვეტია, როგორ წარმოაჩენ თავს, შენს შესაძლებლობებს და უნარებს. აქედან გამომდინარე, მიუხედავად წინა წლების წარუმატებლობისა, მქონდა თავდაჯერებულობა, ვცდილობდი რეალურად მეჩვენებინა მათთვის ჩემი გულწრფელობა, რომ მართლა მინდოდა და ვიმსახურებდი იმ შედეგს, რისთვისაც ვიშრომე. პროგრამის ხელმძღვანელებისათვის პრიორიტეტულია აჩვენო, რომ სურვილი გაქვს შენი ქვეყანა გააცნო სხვებს, რაც პროგრამის უმნიშვნელოვანესია მიზანია. არჩევენ ახალგაზრდებს, რომლებიც, ფაქტობრივად, საკუთარი ქვეყნის ელჩები იქნებიან იმ საზოგადოებაში, სადაც იცხოვრებენ.

თამარს პროგრამის მისია ამერიკაში მისურის შტატში, სენტ-ლუისში უნდა განეხორციელებინა, თუმცა, „კოვიდ“ პანდემიის გამო, პროგრამა მონაწილეებმა ონლაინ გაიარეს. ონლაინ კურსის დასრულების შემდეგ, 2022 წელს, პირველი ვიზიტის დროს ALEX- პროგრამის ფარგლებში - ორი კვირის განმავლობაში, „საკომპენსაციოდ“ თამარმა კალიფორნიაში იმოგზაურა მასპინძელ ოჯახთან სტუმრობით, ქალაქ ჰენფორდში. პირველი კვირა აშშ დედაქალაქ ვაშინგტონში გაატარა პოლონურ ჯგუფთან ერთად. ეცნობოდა ქვეყანას, მათ კულტურას, ტრადიციებს, ღირსშესანიშნაობებს, ისტორიას, ამერიკულ ოჯახურ ცხოვრებას და გარემოს.

- ყველაზე მეტად შენთვის შთამბეჭდავი ამბები?

ვაშინგტონში მოგზაურობიდან „ნასაში“ სტუმრობას გამოვარჩევ. მამის გავლენით ძალიან მიყვარს კოსმოსი, ფრენა, თვითმფრინავები. ხომალდებთან ახლოს ყოფნა და მუზეუმის ნახვა ჩემთვის იყო საოცრება. რაც შეეხება ოჯახს, ოჯახური ცხოვრების გამოცდილება მთლიანად სასიამოვნოა, რადგან განსხვავებულ კულტურას ეცნობი. ერთია, რომ სტუმრობ და მეორეა, რომ ცხოვრობ იმ ადამიანებთან ერთად, რომლებიც მთელი ცხოვრება ამერიკაში გაატარეს. იჭერ განსხვავებებს შენს კულტურასთან, მაგრამ მაინც ხვდები, რომ ადამიანი ყველგან ადამიანია.

თამარმა საუბრისას აღნიშნა, რომ ორი კვირა ძალიან სწრაფად ამოიწურა, და პროგრამის მონაწილეებს გული დაწყდათ უკან დაბრუნებისას. თუმცა, თამარს გაუმართლა და გასულ ზაფხულს, 2023 წელს, კიდევ ერთხელ, მეორე ვიზიტით იმოგზაურა ამერიკაში. ამჯერად იმ ოჯახს სტუმრობდა, რომელიც მისი მასპინძელი იქნებოდა ერთი წლის

განმავლობაში, რომ არა პანდემია და ონლაინ „ფლექსის“ პროგრამაში მონაწილეობა. მას ამერიკულ ოჯახთან სამი წლის განმავლობაში არ გაუწყვეტია კავშირი. თაკო ოჯახს ვაშინგტონის შტატში სტუმრობდა, ქალაქი სედრო-ვული, რომელიც როგორც ამბობს, ძალიან გავს საქართველოს მთიანი რელიეფით, გეოგრაფიული მდებარეობით.

თითქოს ორი კვირის განმავლობაში ამერიკულ საქართველოში ვიმოგზაურე. ეს იყო დაუვიწყარი. მით უფრო, რომ ჩემს პირველ მასპინძელ ოჯახში სტუმრობისათვის სრულიად მარტო ვიმოგზაურე, საქართველოდან 28 საათი ვიმგზავრე და ამერიკიდან საქართველომდე 24 საათი.

- თაკო, ალბათ, ამ ყველაფერმა განაპირობა ის, რომ შენ ამერიკაში მიიღებ უმაღლეს განათლებას. უფრო მეტი დეტალი გაგვანდე ამ ძალიან მაგარი სიახლის შენს ცხოვრებაში...

- როგორც კი გავიგე პანდემიის გამო „ფლექს“ პროგრამა გაუქმდა, მაშინვე დავიწყე სხვადასხვა შესაძლებლობების ძებნა ამერიკაში სასწავლებლად. არც ძალიან რადიკალური ცვლილებები მინდოდა, ამიტომ ნაბიჯ-ნაბიჯ ვემზადებოდი საამისოდ. სწავლა დავიწყე „თავისუფალ უნივერსიტეტში“ სამართლის ფაკულტეტზე და, პარალელურად, ორი წლის განმავლობაში, ვამზადებდი აპლიკაციებს, ვაგზავნიდი ევროპისა და ამერიკის სხვადასხვა უნივერსიტეტებში და ველოდი პასუხს, ვემზადებოდი ამერიკული განათლების მისაღებად. ამჟამად მიღებული ვარ საზღვარგარეთის სამ უნივერსიტეტში. ესენია: მისურის მეცნიერებისა და ტექნოლოგიის უნივერისტეტი კომპიუტერული ინჟინერიის ფაკულტეტი, არიზონას უნივერსიტეტი, კომპიუტერული მეცნიერებების ფაკულტეტი (+ამავე უნივერსიტეტს აქვს ავიაციის 2 წლიანი კურსი, რომლის გავლასაც ვგეგმავ

სამომავლოდ), რომელიც ამჟამდ ჩემი პირველი არჩევანია და აღმოსავლეთ ლონდონის უნივერსიტეტი (ინგლისი) თამაშების დიზაინის ფაკულტეტი. სამივე შემთხვევაში ავირჩიე კომპიუტერულ მეცნიერებებთან მიახლოებული ფაკულტეტები. არიზონას უნივერსიტეტი არის ერთ-ერთი წამყვანი უნივერსიტეტი და ეს იყო რაღაც წარმოუდგენელი, როდესაც გავიგე რომ მიღებული ვარ და ჩავირიცხე კომპიუტერული მეცნიერებების ფაკულტეტზე. ეს იყო უდიდესი ბედნიერება!..

თამარი არიზონას უნივერსიტეტში, 4 წლის განმავლობაში, ბაკალავრიატზე ისწავლის და გეგმავს, მხოლოდ კომპიუტერულ მეცნიერებებზე არ გაჩერდეს. სურვილი აქვს დამატებით, მეორე ფაკულტეტად, გაგიკვირდებათ და, ავიაციის კურსები აიღოს. თვითმფრინავი მისი გატაცებაა... თაკომ ოცნება აისრულა, როდესაც, ამერეიკული არდადეგების დროს, ქალაქ სედროუვერს შემოუფრინა, აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ პილოტი თავად იყო.

(დასასრული მე-5 გვერდზე)

- ფრთები, ფრთები მინდა, კიდევ ფრთები მინდა... -

თამარ ახალკაცი - ხაშურელი წარმატებული სტუდენტი, რომელიც ამერიკის უნივერსიტეტში გაიღრმავებს ცოდნას და რომელიც კოსმონავტობაზე ოცნებობს

(დასასრული)

თვითმფრინავები ყოველთვის ძალიან მიყვარდა. ვერც კი ვიფიქრებდი, რომ ოდესმე ვიფრენდი. ამერიკაში ყოფნისას, როდესაც ჩემმა მასპინძელმა მითხრა, რომ მექნებოდა შესაძლებლობა მეფრინა 40 წუთის განმავლობაში, მაშინვე დავთანხმდი, შევარჩიე პილოტის პოზიცია. ამ დროს ოჯახში მამა იყო ყველაზე ბედნიერი, რადგან ეს მისი ოცნებაც იყო, მასაც ძალიან უყვარს თვითმფრინავები. და მე, შთაგონებულმა ბავშვობიდან, ავისრულე ოცნება. ავიღე ფრენის გაკვეთილი, რადგან მაინტერესებდა ყველა დეტალი



ფრენისას, შევავსეთ უამრავი დოკუმენტი, რითაც გარანტირებული იქნებოდა უსაფრთხოება და დავიწყეთ თვითმფრინავის შემოწმების პროცესი. ამას ყველაფერს აკეთებ თავად შენ, ინსტრუქტორი გეხმარება მხოლოდ სიტყვიერად. სასცილო ის იყო, რომ ვფიქრობდი გვერდით დამიჯდებოდა და მე, უბრალოდ, იგივეს გავიმეორებდი, რასაც თავად გააკეთებდა, მაგრამ გადაიდო ფეხი ფეხზე (იცინის) და ფრენის მთელი პროცესი მე მომანდო. თავიდან ფრენა ცოტა არ იყოს სტრესული იყო, მართვის მოწმობაც კი არ მაქვს და მოულოდნელად აღმოვჩნდი თვითმფრინავის შტურვალთან, მაგრამ, ჩემდა გასაოცრად, მთლიანი პროცესი ძალიან კომფორტული იყო, ძალიან სწრაფად ავითვისე ფრენა.

- ეს გოგო კოსმოსშიც გაფრინდება...

- ვაპირებ (გულიანად იცინის)... ეს ძალიან ოცნების სფეროა, მაგრამ, რომ ვფიქრდები, ყველაფერი ჩემს ცხოვრებაში ოცნების სფერო იყო, რაზეც აქამდე ვისაუბრე, რასაც მივაღწიე, ასე რომ...

20 წლის თამარ ახალკაცი თავისუფალი უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტის მე-3 კურსის სტუდენტია, ხაშურში მე-7 საჯარო სკოლაში სწავლობდა. ისიც წარმატებით დაასრულა, ოქროსმედალოსანია. ცხოვრებაში ოცნებების ასრულებას, დიდწილად, სწორედ რომ მშობლიური სკოლის ინგლისური ენის პედაგოგის, ლამზირა მასწავლებლის სწორ რჩევებსა და დახმარებას უკავშირებს. მიაჩნია, რომ საკუთარ შესაძლებლობებაში დარწმუნებასა და თავდაჯერებულობაში ლამზირა სადაღაშვილის დამსახურება მნიშვნელოვანია. ამ დროისათვის, თამარი მთელ თავის რესურს ამერიკაში გამგზავრებისა და იქ სწავლისათვის მოემზადებისკენ მიმართავს.

თაკოს პიროვნული შტრიხები...

ბავშვობიდან მისი ჰობი სპორტია. სხვადასხვა სპორტის სახეობა შისწავლა. თამაშობდა ფეხბურთს, კალათბურთს, რაგბს, ჭადრაკს... დაამთავრა მუსიკალური სკოლაც. დადიოდა ცეკვაზე. თამარი თანატოლებს ურჩევს მაქსიმალურად იზრუნონ საკუთარი შესაძლებლობების რეალიზებისათვის, თუკი სამომავლოდ ამერიკული განათლების მიღებას გადაწყვეტენ. მათთვის უმნიშვნელოვანესია არა მარტო მხოლოდ სწავლაზე ორიენტირებულ ადამიანი, არამედ ადამიანი შთამბეჭდავი შინაგან სამყაროთი, მისი განვითარება, ინტერესები, ინდივიდუალიზმი.

ცხოვრების ამ ეტაპზე თამარის მთავარი გატაცება ჭადრაკია. იგი ხაშურის ზრდასრული ქალების წლევანდელი ჩემპიონია. ცდილობს დაკავდეს სამაგიდო თამაშებით. თამაშობს ტრადიციულ ჭადრაკს, იაპონურ ჭადრაკს (შოგი), ჩინურ გოს. თამარი აქტიურად შეისწავლის კორეულ ენას. ისე, რომ შეუძლია უკვე საბაზისო დონეზე კორეულად საუბარი. ამბობს, რომ ენების შესწავლა მისთვის ძალიან სასიამოვნო პროცესია. დაინტერესებულია იაპონური ენითაც.

შესაძლებლობების მეტი არაფერი არსებობს სამყაროში. მთავარია ეძიო, გჯეროდეს შენი თავის, ძირითადი უნარებია. მე რასაც მივაღწიე, სწორედ, რომ, არა მხოლოდ ცოდნას, არამედ ჩემს უნარებს ემყარება. გქონდეთ დიდი მიზნები, იოცნებე და ოცნებები აქციე მიზნებად.

- თაკო, ვინ დაგეხმარა უნარების გამოვლენაში, რეალიზებაში?

- მე ვარ ადამიანი, რომელსაც კომპლიმენტები კი არ გააზულუქებს, პირიქით მახალისებს. მეტ მოტივაციას მაძლევს. ამიტომ ყველა ადამიანს ინდივიდუალურად უნდა მიეცეს მოტივაცია. ჩემს შემთხვევაში, მოტივატორი იყო სკოლა, მასწავლებლები, რომლებიც ყველაზე პატარა მიღწევასაც კი უყურადღებოდ არ ტოვებდნენ. ისინი დამეხმარნენ დამეჯერებინა საკუთარი შესაძლებლობების. დადებითი ენერგიით მმუხტავდნენ და მხარს მიჭერდნენ. და ყველაზე მთავარი მოტივატორი, ოჯახი. მისი მხარდაჭერა

ყველაზე მეტად სჭირდება ახალგაზრდას. ოჯახი ყოველთვის იზიარებდა ჩემს წარმატებას და მე ყოველთვის მქონდა მოტივაცია გამეხარებინა ისინი. ასე, რომ პირველი - სკოლიდან, მეორე - ოჯახიდან მხარდაჭერა და მესამე: ცადე ყოველთვის. ვფიქრობ, ეს არის სრულიად საკმარისი იმისათვის, რომ შენი შესაძლებლობები ირწმუნო.

თაკოს სამომავლო ხედვები და მიზნები ჰუმანური და პატრიოტულია. გეგმავს დაასრულოს უნივერსიტეტი ამერიკაში, გახდეს ფინანსურად დამოუკიდებელი.

ჩემთვის ყველაფერი უკავშირდება მაინც ჩემს ქვეყანას, ქალაქს და ოჯახს. აუცილებლად უნდა დავბრუნდე. ყველაფერი, რასაც ვაკეთებ, რეალურად იმისთვის არის, რომ სხვა კონტინენტზე შენი ქვეყანა გააცნო, წამოიღო ყველაფერი კარგი და მოახმარო შენს ქვეყანას. მე ძალიან მიყვარს ჩემი ქალაქი. ფრენის დროსაც პილოტს, რომელსაც ოდესღაც საქართველოში უმოგზაურია, რუკაზე ვაჩვენებდი ხაშურის მდებარეობას. მიხარია და მეამაყება რომ ხაშურიდან ვარ. მე ძალიან მიყვარს პატარა ქალაქები, სოფლები, რეგიონები. რეალურად აქედან აღმოცენდება ხოლმე ყველაფერი კარგი.

თამართან საუბარი ძალიან საინტერესო აღმოჩნდა. დღევანდელ ნომერში მასთან ჩაწერილი ვრცელი ინტერვიუს ნაწილი წარმოგიდგინეთ. მან დაუზარებლად ისაუბრა უცხოური განათლების მიღების შესაძლებლობებსა და განხორციელების გზებზე, რასაც, ბუნებრივია, სრული სახით ვერ გთავაზობთ გაზეთის ფორმატის გათვალისწინებით. საუბრის დასასრულს, თამარმა გულწრფელად გვთხოვა, გაგვეჟღერებინა, რომ დაინტერესების შემთხვევაში ნებისმიერს შეუძლია მასთან დაკავშირება და რჩევების მიღება. კიდევ ერთხელ, ამონარიდი ინტერვიუდან: „ეს გოგო კოსმოსშიც გაფრინდება...“ წარმატებები თაკო!

თეა ნიჟარაძე

მევლუდ სალაღაია - ფოტოხელოვანი, რომელიც ხაშურის ისტორიას ფოტოსურათებით ქმნის

27 სექტემბერს, ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის საგამოფენო სივრცეში, მევლუდ სალაღაიას ფოტოგამოფენა გაიხსნა. ბატონ მევლუდის ობიექტივში, მთელი ხაშურის უახლესი ისტორია მოხვდა და ერთგვარ მემატიანედაც კი იქცა.



მის ფოტოებში ნახავთ როგორც რიგით ადამიანებს, ისე ცნობილ, საზოგადო და პოლიტიკურ მოღვაწეებს, ჩვეულებრივი ადამიანების ყოფას, ჩვენი ქალაქის პეიზაჟებს, ბავშვებს და ყელაფერ იმას, რითიც იწერება ვიზუალური ისტორია ჩვენი მუნიციპალიტეტის.

1971 წელს დავიწყე მუშაობა, მინისტარის ქარხნიდან, საგაზეთო ფოტოგრაფიაში აღმოვჩნდი. მიუხედავად იმის, რომ ფოტოაპარატთან მუშაობა ვიცოდი, საგაზეთო ფოტოგრაფია, სხვა სპეციფიკა აღმოჩნდა. რედაქციაში ვისწავლე ტექნიკა ფოტოს გადაღების და ამის შემდეგ, 1990 წლამდე, ჩემს პროფესიად იქცა. გარდა საქმიანი ფოტოების, თავისუფალ თემებსაც ვიღებდი, ჩემთვის, რასაც გამოფენაზე ხედავთ, სწორედ ეს ფოტოებია. რაც ყველაზე მეტად მახარებს, მომეცა შესაძლებლობა, გადამეღო ცნობილი პოეტები და მწერლები, რომლებიც მაშინ სტუმრობდნენ ხაშურს. გამოფენაზე, ჩემი ფოტოების ნაწილია წარმოდგენილი, რადგან საგამოფენო სივრცემ ვერ დაიტია დიდი ნაწილი, ამიტომ შერჩევით წარმოვადგინე ფოტოები. აქ ნახავთ ფოტოებს, რომელიც 45 წლისაა. გამოფენისთვის განსაკუთრებული მომზადება არ დამჭირვებია, რადგან მზა მასალა მქონდა და იმედი მაქვს, დამთვალიერებლები ბევრ მათთვის ნაცნობ და საყვარელ ადამიანებს, სიტუაციებს და გარემოს აღმოაჩენენ. მიუხედავად იმის, რომ ფოტოგტაფია, თავიდან მხოლოდ გატაცება იყო, ჩემს მთავარ საქმედ იქცა და თუ ვინმე დღეს მიცნობს, სწორედ ჩემი ფოტოებით-თოვლიანი მატარებელი, თივის ზვინები, დათვი მატარებელში-ჩემს მთავარ ფოტოებად რჩება“.

მათ, ვისთვისაც, საკუთარი ქალაქის ისტორია და დღევანდელობა მნიშვნელოვანია, ძალიან საინტერესო ფოტოექსკურსი ელოდება გამოფენაზე, რომელიც მხარეთმცოდნეობის მუზეუმში, მნახველისთვის ორი კვირა დარჩება.

- ფეხბურთი -

სალოკომოტივო დეპოს ფეხბურთელთა გუნდი რესპუბლიკური ტურნირის გამარჯვებულია

„ხაშურის მოამბის“ მკითხველს, წინა ნომერში, უკვე ვაუწყეთ, რომ რკინიგზელთა პროფკავშირის (თავმჯდომარე გელა გელაშვილი) ინიციატივითა და დაფინანსებით, ორი კვირის წინ, მინიფეხბურთში, რკინიგზის ორგანიზაციებს შორის, ჩატარდა რეგიონული ტურნირები. ხაშურის რეგიონში დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვა სალოკომოტივო დეპოს (თავმჯდომარე თ. თოფჩიაშვილი, მწრთვნელი ტ. ლომიძე) გუნდმა „ლოკომოტივმა“, რომელიც გაემგზავრა ქ. ქობულეთში რესპუბლიკურ შეჯიბრებაში მონაწილეობის მისაღებად, ხაშურლებმა იქაც იყოჩაღეს და პირველობა არავის დაუთმეს.

ვულოცავთ სალოკომოტივო დეპოს (დირექტორი თ. ხარაზიშვილი) კოლექტივს და მთლიანად ხაშურელებს ამ გამარჯვებას.

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე“. დირექტორი და გაზეთის რედაქტორი გიორგი გოგალაძე, მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.
E-mail Khashurismoambe2015@gmail.com მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499.
D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში.